



# ბიულეტენი

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის  
საინფორმაციო ორგანო

№3 (82) ივლისი-სექტემბერი 2017 წელი



ლუთისძეობის შობა

„ხამს მთვასტე მთვასტისასთვის ...“



„ხამს მოყვანე მოყვანისათვის. თავი ჭიშხა ამ დამშობდა...“

ხელთუქმნელი „ვეფხისტყაოსნის“ ეს ფრაზა, მსოფლიოს რჩეულ აფორიზმთა თვალ-მარგალიტის „ტიტულს“ უყოყმანოდ რომ მივაკუთვნებდი, ზედმინევენი მიესადაგება უნმიდესისა და უნეტარების, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ განვლილ გზას.

„ადამიანი არის ყველაზე დიდი ფასეულობა, რაც არსებობს დედამიწაზე...“ პატრიარქის ეს სიტყვები თავისთავად ლაღადებენ ჩვენი სულიერი მესაჭის მისიის უზენაესობაზე. „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების...“ რუსთაველის უმრეტი სიბრძნე ჩვენს სინამდვილეში განსხვავდება - ღმერთმა საქართველოს ჭირთათმენის, ნუგეშისა და რწმენის სიმბოლოდ სწორედ ილია II მოუვლინა.

სავსებით კანონზომიერია, რომ ერთ-ერთი პირველი აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი გამოეხმაურა, ბევრი თვალსაზრისით საგულისხმო, ილია II-ის აღსაყდრების 40 წლის-თავის აღმნიშვნელ თარიღს. ესოდენ ხანგრძლივად და ღირსეულად „ზილო ჭაპანი“ სულიერი მამისა, ესეც განგების ნების გამოხატულებაა. „წმიდაო სამებაო“ ... „ღმერთი სამებითაა“... ეს მცნებანი ხომ სისხლხორცეულად შეეზარდა ჩვენს ცნობიერებას; ამ თვალსაზრისით სულიერებისა და კულტურის ცენტრის მესვეურებმა, ჩანაფიქრის განხორციელებისას, კიდევ ერთხელ გამოაფლინეს მახვილგონიერება, როდესაც ღონისძიებათა ციკლი სამი დღის მანძილზე (დღეგამოშვებით) – 5, 7, 9 ივნისს წარმოუდგინეს მაყურებელს ცენტრის კამერულ, მყუდრო, გულითად გარემოში.

პირველი დღე განეკუთვნა პოეზიის სამყაროს კოლორიტს ელდინო სალარაძის. იგი გამორჩეულია არა მხოლოდ მხატვრული კითხვის მკვეთრი ინდივიდუალობით ალბექტილი ოსტატობით, არამედ ღვთის მოვლენილი პოეტური ნიჭის უჩვეულო გამონათებით. ეს დღე იმიტაც იყო განსაკუთრებული, რომ მსმენელი უშუალოდ შეერწყა ელდინო სალარაძის შთაგონებული კითხვის ცხელ სუნთქვას საკუთარი ლექსების ახალი კრებულის წარდგენისას, რომელსაც ვერ კიდევ სტამბის საღებავების სურნელი ასდიოდა. „ციცინათელების ლოცვა“ - ასეთი ხატოვანი დასათაურებით მიანოდა თავისი სულის ნაჟური ელდინომ მკითხველს.

კრებულის შესავალ ნაწილში ავტორი ყოველგვარი მიკობ-მოკიბვის გარეშე ასკვნის: „სამყარო არის ისეთი, როგორც ხარ შენ თვითონ!“ თითქოს მარტივი, მაგრამ ამავე დროს, როგორი სიღრმისეული ხედვაა!..

ნიგნის რეცენზირებას არ ვაპირებ, ეს შესანიშნავად მოახერხა პოეტმა იაკობ-აბა არაბულმა. მისეული ანალიზის მხოლოდ ერთ ფრაგმენტზე შევჩერებ ყურადღებას: „ელდინო არ წერდა ლექსებს, მაგრამ დაწერა და თითქოს გაიმეორა: „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს!“ და ეს „პოეზიაზე გადაწარმოებული არტისტი“ მართლაც პოეტად იქცა...“ და კიდევ ერთი ამონარიდი იაკობ-აბას ბრწყინვალე წერილის - „პოეტი ქალის პორტრეტიდან“: „შენ არ შეგეშინდა და გაბედე „ხატის ანუ პოეზიის ტაბუირებულ ნაკრძალში შესვლა“ და „ხელი ჩაავლე პოეზიის კალთას“...“

წარმოსახვით სცენაზე, ავანსცენაზე - მაყურებლის პირისპირ შთაგონებული, სხივმფენი თვალებით, იდგა ემოციებით გათანგული პოეტური მუზა ელდინო ძაგანიშვილი-სალარაძისა, რომლის მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა არა მხოლოდ მელოდიაური ფერადოვნებით გვესალბუნებოდა, არამედ მკვეთრად გამოხატული მოქალაქეობრივი (ადამიანური!) მრწამსით გვიპყრობდა. მისი პოეზიის ლაიტმოტივი უნმიდესის უმთავრეს დოქტრინას იფუძნება: „ჩემი შემოქმედების მთავარი თემა ადამიანია! - სიამაყით გვამცნო ქალბატონმა ელდინომ. საკუთარი მე უნდა გვკარნახობდეს სამყაროს შემეცნებას, ყველაფერი (კარგიც და ცუდიც) ჩვენში ვეძებოთ, სხვაგვარად ვერ გავყვებით ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო მნიშვნელობისკენ მიმავალ გზას. „რამდენად დამეთანხმებით ამ ნაზრევში, ეს თქვენი გადასაწყვეტია“ - ჩვეული მოკრძალებით მოგვმართა... შეუძლებელია არ დაეთანხმო!

რატომ შეიძინა ამ საღამოს განსხვავებული ზემოქმედების

ძალა ელდინო სალარაძის მიერ ნაკითხულმა ლექსებმა? ორი ფაქტორი შეერწყა ერთმანეთს - პოეტი და მხატვრული კითხვის ოსტატი. ეს ხომ იშვიათობაა! პაუზებს შორის ავტორისეული კომენტარები ერთ მთლიანობაში მოაქცევდა ჩანაფიქრის მასშტაბურობას. ფინალურ აკორდად ელდინომ შემოგვთავაზა ერთ-ერთი ჩინებული ნიმუში მისი კრებულიდან - „სამი სიცოცხლე“:

„ო, რა ტყუილად აყაშაშდნენ შენი ყორნები!  
ო, რა ტყულად დაიშალა ბორცვი ბელტებად!  
სამჯერ დამკარი!  
ერთი დაკვრით მე ვერ მოვკვდები!  
სამი სიცოცხლე  
ერთ სიკვდილში  
ვერ ჩაეტევა!“

ელდინო სალარაძის პოეზიასთან შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ სულიერების გარეშე ამაოა არსებობა. ასეთი იყო დამსწრე საზოგადოების ერთსულოვანი ვერდიქტი.

ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარემ, თავად პოეტმა მარინა თეთქუმანიძემ აღიარა, რომ შესძრა ელდინოს მიერ დანახულმა სამყარომ და ამ საღამოს ერთ-ერთმა ორგანიზატორმა საკუთარი ლექსითაც გამოხატა თავყანისცემა მისი ნიჭის გამო. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილემ გოჩა ბოკუჩავამ ქალბატონ ელდინოს სიგელი გადასცა ლიტერატურული სალონის „საგულისონის“ საქმიანობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის. მადლიერების გამოხატულება გახლდათ საზოგადოება „ობერიონის“ წარმომადგენლების ჯემალ ჯიქიასა და თინათინ გაგუას მისალმება. ბატონმა ჯემალმა ელდინო სალარაძის შემოქმედება აფხაზეთის მარადიულ ტკივილთან დააკავშირა და ლოზუნგური ფორმით შემოსძახა - ყველა ქართველი აფხაზია!..

საგულისხმო იყო, ელდინო სალარაძის სიტყვებს თუ გამოვიყენებთ, არაჩვეულებრივი პოეტის დათა გულუხას მამის, ბაკურ გულუხას გამოსვლა, რასაც ამჯერად ერთ ფრაზაში მოვაქცევთ: „საიდან მოდის ეს პოეტური ფესვი, თქვენისთანა რომ გაჩნდა გვარში?“.. ნიშანდობლივი იყო შესანიშნავი ლირიკოსის მზია ხეთაგურის მოსაზრება.მან ერთგვარად გააგრძელა ელდინო სალარაძის საფიქრალ-სატკივარი ფრთებშეკვეცილი საქართველოს ბედზე: სანამ ჩვენს შეცდომებზე არ ვისაუბრებთ, სანამ საკუთარ თავს არ დავსჯით, არაფერი გვემეფელება. როცა ვაღიარებ, რომ დამნაშავე ვარ, ვერანაირი მტერი ვერ დამამარცხებს...“

მეორე დღე დაეთმო სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის დრამატული თეატრის ერთ-ერთი ნამყვანი მსახიობის ლილი ხურიტის, პირობითად თუ ვიტყვით, შემოქმედებით საღამოს. ეს შეხვედრაც უჩვეულო გახლდათ იმ თვალსაზრისით, რომ შემოქმედებითი საღამოს ტრადიციული ფორმის საპირისპიროდ, სცენაზე იდგა მხოლოდ ერთი მსახიობი, პარტნიორებისა და დამხმარე აქსესუარების გარეშე, რაც პასუხისმგებლობის განცდას უფრო მეტად ამძაფრებდა.

ლილი ხურიტის წარდგენა არ სჭირდებოდა იმ აუდიტორიის წინაშე, სადაც მინვეული იყო. აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თანამშრომელმა, მწერალმა ციცილო ჯულუხიძემ მხოლოდ აუწყა საზოგადოებას ესოდენ სასურველი სტუმრის მოპრძანების შესახებ.

შიშველ სცენაზე განმარტოებით იჯდა „ბენიფიციანტი“ და ოდნავ თავდახრილი უსმენდა თავის ერთადერთ „პარტნიორს“ - მაგნიტაფონს, საიდანაც მამუკა მალულარიას ავტორობითა და რეჟისორობით განხორციელებული რადიოდანდგმა „ვაგიფის“ აუდიოჩანაწერი ჟღერდა. დრამატული თეატრის მსახიობის ამგვარ სიტუაციაში ყოფნა არცთუ სახარბიელოა - განა რაიმეს შეუძლია შეცვალოს მაყურებლის ცოცხალი კონტაქტით გამოწვეული განცდა?! ეს ხომ ანბანური ჭეშმარიტებაა, მაგრამ მოხდა საოცრება - ლილი ხურიტის მიერ საკუთარ სამყაროში ჩაკეტილმა პერსონაჟმა აზროვნების სიღრმით, ინტონაციათა მრავალფე-

როვანი გამით, ქართული მეტყველებისთვის დამახასიათებელი სისუფთავითა და სიმდიდრით (რაც, სამწუხაროდ, დღეს თითქმის დაკარგებულია), მთლიანად დაგვიპყრო. ვაგიფ მუსტაფა-ზადეს მუსიკაზე თავდავინყებით შეყვარებული ქალის აღსარებამ განსჯის განზოგადებულ ზღვართან დაგვაახლოვა. მსახიობის შესრულება - დიას, შესრულება და არა თხრობა, ვნებათაღელვის მორევში გვითრევდა. ეს მეტად რთული ამოცანა მსახიობმა უდანაკარგოდ მოახერხა.

ლილი ხურითის განსაკუთრებულ სამსახიობო მიღწევებზე, მის მიერ სოხუმის თეატრში განხორციელებულ სცენურ სახეებზე, ისაუბრეს გოგი ქავთარაძემ, დიმიტრი ჯაიანმა და დავით საყვარელიძემ. მათს ემოციით გაჯერებულ გამოსვლებში ერთი გამაერთიანებელი შტრიხი დომინირებდა - ლილი ხურითი სახუმრის თეატრის შეუცვლელი აქტრისაა. დავით საყვარელიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ არიან მსახიობები, რომლებიც მუშაობენ და არიან მსახიობები, რომლებიც აზროვნებენ - ლილი სწორედ ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება. დიმა ჯაიანმა შეგვახსენა, რომ ლილის სცენური ნათლია თვით დოდო ალექსიძე იყო, რომელმაც ჩამოიყვანა იგი სოხუმში, შემდეგ მისი და ნანაც ორგანულად შეერწყა დასს. ერთად უნდა ვიყოთ ოსები, აფხაზები - სხვაგვარად ვერ წარმოიდგენია! თავისი მგზნებარე გამოსვლა დიმიტრი ჯაიანმა მიხეილ ქელიძის ერთ-ერთი გამორჩეული ლირიკული ლექსის „... შენ რომ მარგუნე...“ მიხეული მგზნებარე ინტერპრეტაციით დაასრულა. გოგი ქავთარაძემ სევდანარევი სიამტკბილობით მოიგონა სოხუმის თეატრში გატარებული 10 წელი, სადაც სხვა მსახიობებთან ერთად, ლილი ხურითი განსაზღვრავდა თეატრის აღმავლობის გზას.

დეკანოზმა ბიძინა გუნიამ საყვარელი და პატივისცემა გამოხატა ლილი ხურითის ხელოვნების მიმართ და ბრძანა, რომ ეკლესია და თეატრი განუყოფელი არიან, რისთვისაც მადლობა უნდა შევნიროთ ჩვენს პატრიარქს ილია მეორეს.

საქართველოს რადიომაუწყებლობა „რადიო ერთის“ მთავარმა რეჟისორმა ზურაბ კანდელაკმა, რომელიც ერთი პერიოდი სოხუმის თეატრის რეჟისორად მუშაობდა, მადლობა გადაუხადა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის მესვეურებს, ესოდენ ფასეული და მეტად საჭირო ღონისძიებების გამართვისათვის.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის ვახტანგ ყოლბაიას დამოკიდებულება ცენტრის საქმიანობისადმი - მისი მოპატიუება (ზოგიერთ თანამდებობის პირთაგან განსხვავებით) უპრობლემოდ ხერხდება. რაც უნდა დაკავებული იყოს, ბატონი ვახტანგი მანაც გამოძებნის დროს და, თუნდაც მცირე ხნით, ახერხებს დასწრებას. ამ ყურადღებას ძალიან აფასებენ ცენტრის თანამშრომლები. ამასთან ერთად, უნდა ითქვას, რომ ბატონი ვახტანგი ხელოვნების დიდად მოყვარული გახლავთ და არა მხოლოდ - იგი საკმაოდ კომპეტენტური შემფასებელიცაა, რაც კიდევ ერთხელ გაცხადდა ლილი ხურითთან შეხვედრისას: „... ჩაბნელებული სცენა... გამომსახველი ხმა... განცდათა მრავალფეროვნება... აზროვნების ამპლიტუდა... მეამაყება, რომ ასეთი მსახიობი გვყავს!..“ მთლიანად ვეთანხმები ვახტანგ ყოლბაიასეულ შეფასებას!

გამომსვლელებს შორის, ლ'უფთე-პაუზის გამოყენებით, ლილი ხურითი გვესაუბრებოდა სპექტაკლებზე: „სამშობლო“ და „ზღვა, რომელიც შორია“; გვაზიარებდა, აგრეთვე, რადიოიესა „ვაგიფზე“ მუშაობის საგულისხმო ეპიზოდებს. ქალბატონ ლილის თხრობა, იუმორნარევი ხიბლთან ერთად, გაჯერებული იყო განვლილი პერიოდის მოგონებებთან დაკავშირებული სულიერი მითითოვანობით. და ბოლოს, ლილი ხურითმა ემოციითა და აზრით დატვირთული ომის სანინალმდეგო მონოლოგით რუსუდან კობიაშვილის დადგმიდან - იზაბელ დორეს „სეზარი და დრანა“ დაასრულა საღამო.

პატრიარქისადმი მიძღვნილი საღამოების დასკვნითმა აკორდმა საზეიმო ელფერი შეიძინა - თამრიკო ჭოხონელიძესთან ყოველი მიახლოება ამგვარ განწყობას ბადებს. გამოჩანკლის არც აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის კამერულ დარბაზში შეკრებილ საზოგადოებასთან შეხვედრა წარმოადგენდა.

მოვლენებს გავეუსწრებ და ცნობილი მუსიკისმცოდნის მანანა კორძაიას მიერ საღამოს დასასრულს ექსპრომტად წარმოთქმული რეპლიკით დავინწყებ: „მაცეტრო ჯანსუღ კახიძე, რომელიც თავისი მოღვაწეობის გარკვეული წლების მანძილზე სიამოვნებით მუშაობდა ესტრადის მომღერლებთან, თამრიკოს მიერ „იავნანას“ იდეალური შესრულების შემდეგ კრიტიკიულად თამრიკო ჭოხონელიძის ნამღერს მიიჩნევდა. ამით ყველაფერია ნათქვამი!“

ეს დღე ეძღვნება ჩვენს სულიერ მამას ილია მეორეს, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული გულისხმიერებით. საყვარულის, სიკეთის უმურველად გამღები ასეთი ადამიანი სხვა არ მეგულება. მთელი ჩემი ოჯახი დავალებულია მისი უწმიდესობის წინაშე. მონივნებით ვიხრი ქედს იმ აურაცხელი ღვანლისთვის, რაც მან თავისი ქვეყნისათვის გააკეთა. მას ძალიან უყვარს თავისი ხალხი. ეს საყვარული აორკეცებს მის ოპტიმიზმს - ღვთის ნებით, აუცილებლად დავიბრუნებთ დაკარგულ ტერიტორიებს. ამას ისე ამბობს, ეჭვის ნიშანწყალსაც არ გიტოვებს. ბედნიერია ქვეყანა, რომელსაც ასეთი სულიერი წინამძღოლი ჰყავს - ასეთი აღსარებით წარსდა მსმენელის წინაშე თამრიკო ჭოხონელიძე.

თამრიკო ჭოხონელიძე თავის სტიქიას რომ არ უღალატებდა, ამაში დარწმუნებული ვიყავით. შემოქმედი და მოქალაქე - სამშობლოსთვის, მისი კეთილდღეობისთვის თავშენიშნული პატრიოტების გულანთებული მომღერალი - ასეთად წარმოჩინდა თამრიკო და უკვე მერამდენედ მოგვხიბლა დახვეწილი სამემსრულებლო ხელოვნებით, რეპერტუარის მრავალფეროვნებით, უზადო გემოვნებით. თამრიკოს პარტნიორობას უწევდნენ თავისი დები: თინა და სოფო ჭოხონელიძეები. ეს შეხმატკბილებული ტრიო ნებისმიერი რანგის სცენას დაამშვენებდა.

მსმენელს უძნელდებოდა თამრიკო ჭოხონელიძის დათმობა, უნდოდა დაუსრულებლად ემღერა, მაგრამ უსასრულო ხომ არაფერია... მაყურებლის „დაკვეთით“ ფილმიდან ფინალური სიმღერა - სწორუპოვარი „იავნანა“ აღმოჩნდა, რომელიც აგრერიგად შეიყვარა არა მხოლოდ ქართველმა, არამედ სხვა ქვეყნების ურიცხვმა კინომოყვარულმა.

მინდა მშვიდობა სუფევდეს დედამიწაზე და თაობა, რომელიც მოდის, „იავნანას“ მღეროდეს - ასეთი დედობრივი ლოცვით დასაჩუქრა თამრიკო ჭოხონელიძემ მომავალი!..

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა რუსუდან ნურნუმიამ, რომელიც თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში ტრადიციული მრავალხმიანობის ცენტრს ხელმძღვანელობს, ხაზი გაუსვა ჭოხონელიძეების ოჯახის განუსაზღვრელ წვლილს საქართველოს მუსიკალურ ცხოვრებაში. მთელი ოჯახი მღეროდა. დღეს ამ ტრადიციის გაგრძელება წარმატებით იტვირთა საოპერო მომღერალმა მარიამ როინიშვილმა. „გადაუჭარბებლად ვამბობ, დასძინა ქალბატონმა რუსუდანმა, რომ კუკური ჭოხონელიძე იყო პიროვნება, რომელიც ქართული სულიერების ატმოსფეროს ამკვიდრებდა არა მარტო თავის ოჯახში, არამედ, მან, როგორც კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრის გამგემ, ამ სულისკვეთებით აღზარდა ფოლკლორისტთა მთელი თაობა“.

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის მიერ ორგანიზებული საღამოების წარმატება აქ მომუშავე შედუღებულ კოლექტივის ძალისხმევით შედეგი გახლავთ, რაც კიდევ ერთხელ გამოვლინდა ამ მრავალმხრივ საინტერესო პროგრამის შემუშავებისას. საღამოთა წარმართვის ერთგვარ მესაჭედ და გულითადი მასპინძლის როლში, როგორც ყოველთვის, მოგვევლინა ცენტრის ხელმძღვანელი სვეტლანა ქეცვა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთათბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრების 40 წლისთავისადმი მიძღვნილმა სამმა თემატურმა საღამომ თვალნათლივ დაგვანახა, რომ აფხაზური გენი მძლავრად ხარობს ძირველ ქართულ მიწაზე. სოხუმის თეატრის საქვეყნოდ აღიარებული სპექტაკლის დასათავუების პერიოდსა თუ მიმდინარეობაზე - აფხაზეთი, რომელიც დღეს ჩვენთვის ასე შორია, ღვთის ნებითა და კანონზომიერების ურყევი ლოგიკით, უეჭველად დაგვიბრუნდება!..

# სიყვარულისა და თავდადების გზააღიტი

დღეს, როდესაც კლასიკური მუსიკა, როგორც ამას ოფიციალურად აღარც მალავს, აცხადებს კიდევ, სახელმწიფო „პრიორიტეტებში“ აღარ მოიაზრება, „აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი“, მისი ხელმძღვანელის, მუსიკისმცოდნე სვეტლანა ქეცბას თაოსნობით მუდმივად ზრუნავს, რათა მოზარდი და ახალგაზრდა თაობა აზიაროს მაღალ ხელოვნებას - კლასიკურ მუსიკას. აფხაზეთს, მშობლიურ კუთხეს მონყვეტილ ახალგაზრდებს, რომელნიც გასაჭირსა და დევნილობაში გაიზარდნენ, განსაკუთრებით ესაჭიროებათ სულიერი საზრდო და ის სიფაქიზე, რომელსაც ისინი მსოფლიო მუსიკალური შედეგების მეშვეობით ეზიარებიან. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ცენტრი, კონცერტით „ჩემი აფხაზეთი“, აქტიურად ჩაერთო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის „ბავშვთა და მოზარდთა მუსიკალურ კვირეულში“. ცნობილია, რომ „ბავშვთა და მოზარდთა კვირეული“ 1978 წელს დააარსა ყველასათვის კარგად ცნობილმა და განსაკუთრებით ბავშვების უსაყვარლესმა კომპოზიტორმა, მერი დავითაშვილმა. დღეს, ეს „კვირეული“ სამართლიანად ატარებს მის სახელს.

„ჩემი აფხაზეთის“ პროგრამა თავდაპირველად ითვალისწინებდა თბილისის სხვადასხვა სკოლების მოწაფეების, დევნილი ოჯახების ბავშვების მუსიკალური საშემსრულებლო მიღწევების წარმოჩენას, ერთგვარ ანგარიშს სასწავლო წლის ბოლოს. ამასთანავე, ეს პროგრამა მოზარდებს მისცემდა სტიმულს, რომ კლასიკური მუსიკა ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ყოფილიყო და მუსიკის ამ სფეროში არსებული ქართული ტრადიციები გაეთავისებინა.. ეს ტრადიციები ხომ ნამდვილად გამორჩეული ღირებულებებისაა. შემდეგ ამოცანა თანდათან გართულდა. „კვირეულის“ ორგანიზატორ ნინო მესხთან ერთად კონცერტმა მუდმივი ადგილი დაიმკვიდრა. მარტო ის რად ღირს, რომ „აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა“ და მისმა ხელმძღვანელებმა, სწორედ თავის წიაღში და მათ მიერ ორგანიზებულ კონცერტებში გზა გაუკვალეს დიდი სცენისკენ, პირველი ნაბიჯების გადადგმის პირობები შეუქმნეს, დღეს უკვე ცნობილ მომღერლებს: სალომე ჯიქიას, მარიკა გულორდავას, ალუდა თოდუას და სხვებს, ისინი დღეს მსოფლიოს ცნობილ საოპერო სცენებზე



გამოდიან, წარმატება აქეთ... ამჯერად 2017 წლის 4 ივნისს გამართული კონცერტის „ჩემი აფხაზეთის“ პროგრამა განსხვავებული იყო - თავისი ხელოვნება წარმოაჩინეს არა მხოლოდ აფხაზეთიდან დევნილმა ბავშვებმა, არამედ თბილისისა და ახალციხის სამუსიკო სკოლებისა და სასწავლებლების მოსწავლეებმა, რითაც კონცერტის ორგანიზატორებმა განსაკუთრებული დატვირთვა შესძინეს პროგრამას. აღნიშნულ კონცერტზე დევნილი ბავშვები პირველად გაეცნენ სხვა სკოლების თანატოლების შემოქმედებას. ორგანიზატორები ასეთ არჩევანში არ შემცდარან, რადგან „დევნილობა“ მოზარდებში განსაკუთრებულ ფსიქოლოგიურ ნიუანსებს ამკვიდრებს. ამდენად, მათ ინტეგრაციას, ურთიერთობას ახალციხისა თუ თბილისის სამუსიკო სკოლების მოსწავლეებთან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც მენტალური, ისე შემოქმედებითი თვალსაზრისით - წმინდა ადამიანური კონტაქტის გარდა, ისინი ერთმანეთის ხელოვნებას ეცნობიან, აფასებენ, ტაშს უკრავენ და, რაც მთავარია, მათ აერთიანებთ კლასიკური მუსიკა!

კონცერტში მონაწილეობდნენ სოხუმის (ახლა თბილისში არსებული) დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სასწავლებლისა და ახალციხის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო სკოლის, თბილისის სულხან ცინცაძის სახელობის ხელოვნების სასწავლებლისა და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები - I კლასით დაწყებული - X-ის ჩათვლით. სოხუმის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელს წარმოადგენდნენ: ანა ყენია (I კლ, პედ. ქეთევან ჭერხალაშვილი), თორნიკე მკურნალიძე (V კლ, პედ. ალღონა კალანდია, კონცერტმასტერი ნესტან ქარდავა), ელენე ჯანიაშვილი (X კლ, პედ. ირმა მორალიშვილი, კონცერტმასტერი ნესტან ქარდავა), მარიამ იასაშვილი (X კლ. პედ. მაია ცაავა). ახალციხის სკოლიდან თავისი საშემსრულებლო ხელოვნება წარმოაჩინეს V კლ. მოსწავლეებმა: თამარ სადათიერაშვილმა (პედაგ. ირმა დავლაშერიძე), თეკლა მურმანიშვილმა (პედ. ლამარა გელაძე), მარიამ ხაჭაპურაძემ (პედ. ლია სარაშვილი), აგრეთვე ნიკო ვარდიძემ (IV კლ, პედ. ლია სარაშვილი), ლუკა აფციაურმა (V კლ, პედ. შუმანიკ ბალასანიანი), ანა კიკაბიძემ (VI კლ, პედ. ნინო მესხიძე), ნიკოლოზ ბერიძემ (VI კლ, პედ. ლია სარაშვილი), სალომე დემეტრაძემ (VII კლ, პედ.

ლამარა გელაძე). თბილისის ხელოვნების სკოლიდან კონცერტში მონაწილეობდნენ პედაგოგ ქეთევან ქოიავას კლასის მოწაფეები: ანა გვარამია, ნანა ჯვარშიშვილი (IV კლ.), ტატა კიტია (IV კლ.), თეო კაკაბაძე (V კლ.) თეკლა ყურაშიძე (VI კლ.). კონცერტის დასასრულს კი მსმენელის წინაშე წარსდგა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა: ქეთევან ტაბიძე (I კლ., პედ. ვეკა სვანიძე) და ნინო ბუკია (VIII კლ. პედ. ქეთევან თუშმალიშვილი, კონცერტმამისტერი ნათელა ბუცხრიკიძე).

მოსწავლეები მსმენელ აუდიტორიას წარუდგინეს სკოლის დირექტორებმა: სოხუმის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორმა, ლობჯანიძემ და ვითი თეკლაძემ, ახალციხის სამუსიკო სკოლის დირექტორმა, ლირსების ორდენის კავალერმა, ცისანა ახვლედიანმა და თბილისის სულხან ცინცაძის სახელობის ხელოვნების სასწავლებლის დირექტორმა ლია მავზარაშვილმა და ცენტრის თანამშრომელმა ნანა ნილოსანმა.

კონცერტის პროგრამა მრავალფეროვანი იყო. უდავოდ მოსაწონია, რომ ტრადიციული მსოფლიო კლასიკური რეპერტუარი - ვივალდი, ბეთჰოვენი, შოპენი, შუბერტი, მასნე - გამდიდრებული იყო დღეისათვის ნაკლებ ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებებით: XVIII ს. იტალიელი საოპერო კომპოზიტორის, დომენიკო სარისა და XX ს. კომპოზიტორ სლოვაკელ იან ციკერის მუსიკით. რაც მთავარი და ძალზე მისასალმებელია, პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ქართულ მუსიკას: კლასიკოსებთან - ზაქარია ფალიაშვილთან, რევაზ ლალიძესთან ერთად შესრულდა ჩვენი დროის კომპოზიტორების, ვაჟა აზარაშვილის, მერი დავითაშვილის, ნუნუ გაბუნიას, მერაბ მერაბიშვილის, ვაჟა დურგლიშვილის, ლილიკო ნემსაძის ნაწარმოებები. აქვე აღვნიშნავდი, რომ ქართულ რეპერტუარს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხოლმე რეგიონების სამუსიკო სკოლებში. ეს, უდავოდ, ძალზე დადებითი ფაქტორია. კარგი იქნებოდა, დედაქალაქის სამუსიკო სკოლებშიც ამ ტენდენციის დამკვიდრება.

თითოეულმა საგანმანათლებლო-სამუსიკო კერამ, თბილისის, სოხუმის თუ ახალციხის სამუსიკო სასწავლებლებმა, აჩვენა გარკვეული სამემსრულებლო კულტურა და, რაც მთავარია, კლასიკური მუსიკის სიყვარული. თითოეულმა პედაგოგმა შეძლო აღსაზრდელებში კლასიკური მუსიკის სიყვარულის ჩანერგვა. ბავშვები ისეთი მონდომებით, ისეთი გულწრფელობითა და უშუალოდ ასრულებდნენ საფორტეპიანო, სავიოლინო თუ ვოკალურ ნაწარმოებებს, რომ არ შეიძლებოდა მსმენელს სი-

ხარული არ დაუფლებოდა. განსაკუთრებული კმაყოფილება გამოიწვია კონცერტში ვაჟების (მართალია, სულ 2-3 მოწაფე) მონაწილეობამ. მიმაჩნია, რომ კლასიკური მუსიკა განსაკუთრებულ თვისებებს სძენს პიროვნებას: შრომისმოყვარეობას, მოთმინების უნარს, რომ არაფერი ვთქვა სულიერსა თუ ესთეტიკურ მხარეზე. ამიტომ, სწორედ ვაჟების აღზრდის პროცესში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეთმობოდეს ისეთ საგანმანათლებლო კომპონენტს, როგორცაა კლასიკური მუსიკა. სანუხაროდ, სახელმწიფოს მხრიდან სამუსიკო განათლებას ჯერჯერობით არ ექცევა სათანადო ყურადღება. ვაკვირდებოდი როგორ ღელავდნენ ბიჭუნები გამოსვლის წინ, შემდგომ კი როგორი ემოციით ასრულებდნენ ნაწარმოებებს, როგორ თანაუგრძობდნენ თანატოლებს, როგორ უხაროდათ ერთმანეთის წარმატება... შესაძლოა, ამ მოზარდებიდან მუსიკას ყველა არ გაყვეს, პროფესიონალი მუსიკოსი არ დადგეს, მაგრამ ისინი ერთი მხრივ კარგი მსმენელები იქნებიან, ხოლო მეორე მხრივ, თავისი ქვეყნის კარგ მოქალაქეებად აღიზრდებიან. ამაში დარწმუნებული ვარ. ეს არაა მხოლოდ ჩემი, სუბიექტური მოსაზრება; იუნესკოსთან არსებული საერთაშორისო მუსიკალური საბჭოს კონცეფციის თანახმად „მხატვრული განათლების, კერძოდ კი, მუსიკალური ხელოვნების შესაძლებლობები ძალზედ დიდია სოციალური ჩვევების, მოქალაქეობრივი პოზიციის, ფასეულობების, ქცევის მოდელების, ესთეტიკური პრინციპების, მორალური ორიენტაციების სასარგებლოდ, რაც შესაძლებლობას იძლევა მომავალი თაობები აღიზარდონ და ჩამოყალიბდნენ მსოფლიოს პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებად“.

სამწუხაროდ, საქართველო „იუნესკოსთან არსებულ საერთაშორისო მუსიკალურ საბჭოში“ ჯერჯერობით არაა განწევრიანებული, მაგრამ სწორედ ამ მიზნებსა და ამოცანებს ემსახურებოდა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის“ აღნიშნული ღონისძიება და, ასევე თითოეული პედაგოგი, რომელიც თავდადებით, მწირი ანაზღაურებით (თანაც ესოდენი შეჭირვების ფაქტ!) და, ნამდვილად „შიშველი“ ენთუზიაზმით იღვწის, თავს არ ზოგავს, რათა თავიანთ აღსაზრდელებს მუსიკის სიყვარული ჩაუნერგოს. „აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის“ მიერ ორგანიზებული ეს კონცერტიც სწორედ ამ სიყვარულისა და თავდადების ჩინებული მაგალითი იყო. მაღლობა ამ საუცხოო ღონისძიების ინიციატორებს, ორგანიზატორებსა და მონაწილეებს!

მზია ჯაფარიძე

## 1-7 სექტემბერი, 2017



2, 3, 4 და 6 სექტემბერი - ცნობილი ანიმატორის ჯულა საბოს ვორქშოფი.

„ანიმაციური ფილმის კადრირების შექმნის პროცესი“. სოფელ ნიქოზი, წმ. ალექსანდრე ოქროპირიძის სახელობის სახელოვნებო სკოლა. მხარდამჭერები: „ჰან ფილმი“, გოეთეს ინსტიტუტი და სტუდია „კვალი XXI“.

2 სექტემბერი - ფრანგული ანიმაციის ნარჩევი ფილმები

რეჟისორები: ოლივიე კატერინი, პიოტრ კამლერი, ჟულიენ პაპე, ჟან-ფრანსუა ლაგიონი, ვიოლინ ლეკუერი, დელფინ პრი-მაჰეო - ახალი ქართული ანიმაცია

რეჟისორები: ანა ჩუბინიძე, ნათია ნიკოლაშვილი, ვლადიმერ სულაქველიძე, მამუკა ტყემელაშვილი, სანდრო ქათამაშვილი

3 სექტემბერი - ცოცხალი მუსიკა ანიმაციური ფილმებისთვის (გერმანია) შემსრულებლები: ლარს ოერტელი (დრამი), იზაბელ ფიშერი (ბასი),

თომას ბარი (საქსოფონი), იოჰანეს გერსტენგარბე (ფორტეპიანო). - ლოტე რეინიგერის, ზურაბ ჭანტურიას, ჯუმბერ თაკალანძის, სონია როჰლედერის ფილმები.

- დრეზდენის ფესტივალი (გერმანია, კურატორი-კატრინ კუხლერი)

რეჟისორები: რებეკა ბლოხერი, ბეტინა კუნტზიჩი, ჟან კოესტერი, ველიკო პოპოვიჩი, ხესუს პერესი, გერდ გოკელი

4 სექტემბერი - რუსეთის ანიმაციური ფილმების სტუდია „ანიმოსი“ - ანიმაციური ფილმების ღია ფესტივალი „სუზდალის ექო“ - რუსეთის საბავშვო ანიმაციური ფილმების ღია მასტერ-კლას-ფესტივალი „ფასკუნჯი“ - სოიუზმულტფილმი

- 5 სექტემბერი - „ნიქოზის“ ექო - 2017. წეროვანი.
- 6 სექტემბერი - პოლონეთი. რეჟისორ პიოტრ დუმალას ფილმები - ანესის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალში რეჟისორ დავით თაყაიშვილის გამარჯვებული ფილმები:
- 7 სექტემბერი - კანადის ეროვნული კინოცენტრი

## გულტაცავთ წაჰმატებას!

სალომე ჯიქია მსოფლიოს საოპერო სცენაზე ივენისი - დებიუტი ლონდონის სამეფო თეატრ „კოვენტ გარდენში“. მოცარტის ოპერა „მითრიდატე“.

19 აგვისტო - პეზარო, როსინის ფესტივალი. დებიუტი ოპერა „ტორვალდო და დორლისკამი“.

30 აგვისტო - ბერლინის „დოიჩე ოპერა“. ვერდი ოპერა „ტრავიატა“.

### დავით კვარაცხელიას მორიგი რალი

სოხუმი-საქართველო - ასეთი წარწერა ჰქონდა სოხუმელ ავტომობილელ დავით კვარაცხელიას მაქანას რალი „სლივენის“ 37-ე სეზონში მონაწილეობისას, რომელიც თავის ყოველ გამარჯვებას სოხუმსა და საქართველოს უძღვნის. ასე იყო ამჯერადაც.

დავით კვარაცხელია აფხაზეთიდანაა, ამჟამად ის ბულგარეთში ცხოვრობს და ტურნირებში საქართველოს სახელით ასპარეზობს.

### სოხუმის დრამატული თეატრი ფოთის საერთაშორისო ფესტივალზე

ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში მესამე წელია, რაც რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალი ტარდება. წელს ფესტივალში მონაწილეობდა 16 ქართული და 5 უცხოური თეატრი ( პოლონეთი, ირანი, უკრაინა, რუსეთი, იტალია).

ფესტივალი გაიხსნა 21 ივლისს სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის

პრემიერით, ებრაელი დრამატურგის ხანოხ ლევენის პიესით „იაკიმი და პუპჩე“. ქართული ვერსიის ავტორი, რეჟისორი და მუსიკალური გამაფორმებელი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დავით საყვარელიძეა. დადგმას ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სახელით გადაეცა ფესტივალის საპატიო დიპლომი.

ფესტივალის ფარგლებში წარდგენილი იყო 24 სცენური ნაწარმოები..

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პრიზით საუკეთესო სპექტაკლისათვის (5000 ლარი სადადგმო ხარჯებისათვის) მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ სოხუმის თეატრი დააჯილდოვა.

### დიმიტრი ჯაიანის ბენეფისი

საქართველოს თეატრალური საზოგადოების ორგანიზებით აკაკი ხორავას მსახიობის სახლში საქართველოს სახალხო არტისტის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრ დიმიტრი ჯაიანის ბენეფისი გაიმართა. დიმიტრი ჯაიანმა გაიხსენა თავისი პედაგოგები თუ კოლეგები, ქართული თეატრისთვის ძვირფასი სახელები. მან საკუთარ თავს ქუდბედიანი უწოდა, რადგან ბევრი მსახიობისთვის საოცნებო არაერთი როლის შესრულების პატივი და სიხარული არგუნა ბედმა. ეკრანზე მსახიობის მიერ სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე განსახიერებული საუკეთესო როლები გამოჩნდა სპექტაკლებიდან: „დიდოსტატის მარჯვენა“, „ბრძოლა ტახტისათვის“, „მარადისობის კანონი“, „ზღვა, რომელიც შორია“ და სხვ.

## ანონსი

„იმედისა და ხსოვნის დღესთან“ დაკავშირებით 28 სექტემბერს 19.00 საათზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილი შარტავას სახელობის დარბაზში (მისამართი: კოსტავას ქ. #77), წარმოდგენილი იქნება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერითა და აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის დაკვეთით მომზადებული მონო-სპექტაკლის პრემიერა - „შეჩერდით, ორივე მხარეს საქართველოა“. ეს სიტყვები ეკუთვნის საქართველოს ეროვნულ გმირ ყოფილი შარტავას და მასვე ეძღვნება დადგმა.

სპექტაკლის ავტორი და წამყვანი ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი იზა ვეფხვაძეა. არჩევანი ქალბატონ იზაზე შევარჩეთ წლების მანძილზე მის მიერ წარმატებით განხორციელებული ლიტერატურული საღამოების გამო, რომლებიც ეძღვნებოდა ჩვენს სახელოვან თანამემამულეებს: რეზო თაბუკაშვილს, გურამ რჩეულიშვილს, აკაკის, გალაკტიონს, გოდერძი ჩოხელს და სხვ.

გთხოვთ მოზრდნდეთ, შესვლა თავისუფალია.

## გამოსათხოვარი



### ზურაბ სოტკილავა

ამიერიდან ზურაბ სოტკილავას სახელი გამორჩეულ ადგილს დაიკავებს მსოფლიოს საოპერო ხელოვნების ვარსკვლავთა ზეციურ პანთეონში.

მისი სცენაზე გამოჩენა ყოველთვის დიდი ზეიმი იყო, რადგან უდიდეს სიამოვნებას და სიხარულს ანიჭებდა საზოგადოებას. მისი სიმღერა აერთიანებდა და ერთსულად აქცევდა მსმენელს. იშვიათია მომღერალი, რომელიც ერთნაირი ოსტატობით ასრულებს როგორც კლასიკურ მუსიკას, ასევე ხალხურ სიმღერებს. ვისაც ზურაბ სოტკილავას მიერ შესრულებული, ლირიზმით სავსე მეგრული სიმღერები მოუსმენია, მის დაიწყებას ვერასდროს შეძლებს. ამ სიმღერებში საოცარ ემოციას და მშობლიური ქვეყნისადმი უდიდეს სიყვარულს აქსოვდა. ეს განწყობა შესანიშნავად

გამოხატა ცნობილმა საოპერო რეჟისორმა ბორის პაკროვსკიმ: „გინახავთ იგი როგორ მღერის საქართველოზე? განა შეიძლება იმ წამს ჰპოვოთ უფრო ბედნიერი ადამიანი და ქვეყანა უფრო წარმატატი?“

სწორედ ამ წარმატატი ქვეყნისა და მშობლიური კუთხის მადლიერების გამოვლენა იყო 2007 წლის ივნისში ხობის მე-3 საერთაშორისო ფესტივალზე „სიმღერა სამეგრელოზე“ საქართველოსა და სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ზურაბ სოტკილავას 70 წლის იუბილეს აღნიშვნა. გამოიცა საიუბილეო ალბომი 4 კომპაქტ-დისკით, მათ შორის ოთარ თაქთაქიშვილის „მეგრული სიმღერები“, შეიქმნა დოკუმენტური ფილმი. სამეგრელოში ქართულ მუსიკალურ საზოგადოებასთან ერთად საიუბილეო დღეებში მონაწილეობდა მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტთა კოჰორტა ლე-

გენდარული ელენე ობრაზცოვას ხელმძღვანელობით.

არასდროს დაგვაინყებდა კოლხი მასპინძლების ყურადღებით მოხიბლული სტუმრების შემყურე ბატონი ზურაბის სიამაყითა და კმაყოფილებით სავსე ღიმილი. ზურაბ სოტკილავას იუბილურ ხობში სიმღერისა და სიყვარულის ნამდვილ დღესასწაულად იქცა. სამეგრელო მოეფერა და გულში ჩაიკრა საამაყო შვილი. ეს დამოკიდებულება ყველაზე კარგად აისახა ფესტივალზე სტუმრად მყოფი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის სიტყვებში : „დღეს ხობში მთელი საქართველოს მუსიკალური ზეიმი და ეს დღე გვაჩუქა ზურაბმა. იგი ქართული გენის ამოფრქვევაა და ეს ჩანს მის სულიერ სამყაროში“.

სწორედ, მდიდარი სულიერი სამყარო განსაზღვრავდა ზურაბ სოტკილავას პიროვნულ თვისებებს. ხშირად იმეორებდა თავისი პედაგოგის დავით ანდელუაძის შეგონებას: „მთავარია იყო ადამიანი და მეორე ამოცანაა, გახდე მომღერალი“.

იგი იყო ღირსეული ადამიანი და დიდი მომღერალი, რომელიც ხობის კულტურის სახლის სცენაზე გასასვლელად ისეთი

მღელვარებით ემზადებოდა, როგორც მსოფლიოს საუკეთესო თეატრების სცენაზე სიმღერისას. ჩვენთვის ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ხობის ფესტივალის მისეულ შეფასებას: „ეს ფესტივალი თავის საქმეს აკეთებს. აღდგა დაკარგული მეგრული სიმღერები, ჩაინერა დისკები, გამოიცა წიგნები. როგორც ხელოვანი და მომღერალი, მადლობელი ვარ ფესტივალის ორგანიზატორებისა ამ მამულიშვილური წამოწყებისთვის“.

მადლობა თქვენ, ბატონო ზურაბ, იმ თანადგომისა და გულისხმიერებისთვის, რომელსაც მუდმივად ვგრძნობდით ხობის ფესტივალის მიმართ.

ხობის საერთაშორისო ფესტივალის  
„სიმღერა სამეგრელოზე“  
საორგანიზაციო ჯგუფის სახელით:  
გოდერძი ბუკია (ჯგუფის ხელმძღვანელი),  
ანზორ ერქომაიშვილი, გომარ სიხარულიძე,  
მარინა მიქაძე, ზურაბ ერქვანია,  
ბადრი ბერაია, რალა ჩემია

*შინა ყოვლადშვილის დეოპოქომის ჩეხის დეოისმშიძეომის და  
პაოლის ქალხეომის მაიოაძის - დეოისმშიძეომის  
8 (21) სექტემბერი*

ქრისტიანულ ლიტერატურაში არსებობს იაკობის აპოკრიფული თხზულება „შობა მარიამისა“, რომელიც დანვრით მოგვითხრობს, როგორ შეეძინათ იოაკიმესა და ანას მომავალი მშობელი განკაცებული უფლისა.

მდიდარი, მაგრამ უშვილო იოაკიმე ყოველწლიურად ორმაგ მსხვერპლს სწირავდა უფალს. ერთ-ერთ დღესასწაულზე, როცა ებრაელები იერუსალიმის ტაძარში მსხვერპლშენივისთვის ემზადებოდნენ, მათ უარი უთხრეს იოაკიმეს პირველ შეენირა მსხვერპლი, მიზეზად კი იოაკიმესა და ანას უშვილობა წამოაძახეს (ებრაელ ხალხში უშვილობა ღვთის სასჯელად ითვლებოდა).

დაღონებულ იოაკიმეს მწუხარება გაუასკეცდა და ისე მიაშურა უდაბნოს, რომ შინაც აღარ შეუვლია მეუღლის სანახავად. იქ, სახელდახელოდ აგებულ კარავში, მან ორმოცი დღე და ღამე უჭმელ-უსმელმა გაატარა მხურვალე ღოცვაში.

წმიდა ანას წუხილს ქმარზე დარდიც დაემატა და ის თითქმის არავის ეჩვენებოდა. ანას უშვილობა წამოაყვედრა მისმა მხევალმა: „უფალმა ღმერთმა დაგიხშო საშო და არ მოგმადლა ნაყოფი ისრაელიანთა შორისო“.

მაშინ ანამ სამგლოვიარო სამოსელი გაიხადა, საზეიმოდ ჩაიცვა, ბაღში ჩავიდა, დაფნის ხის ქვეშ ჩამოჯდა და უფალს მხურვალედ შეევედრა: „ღმერთო მამათა ჩემთაო, მაკურთხე მე და შეისმინე ვედრება ჩემი ისე, როგორც აკურთხე შენ ჩვენი სარა და მიანიჭე მას ისააკი“.

ანგელოზი გამოეცხადა ანას და ახარა, რომ ღმერთმა შეისმინა მისი ვედრება და იგი დედა გახდებოდა, მისი ნაშობი კი ქვეყანასა ზედა განდიდებოდა. გახარებულმა ქალმა მადლიერების ნიშნად აღთქმა დადო, შვილი უფლისათვის შეენირა, რომ მისი მსახური ყოფილიყო მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ანგელოზმა უდაბნოში განმარტოებულ იოაკიმესაც აუწყა, რომ ღმერთმა მისი ვედრება შეისმინა და მალე შვილი შეეძინებოდათ.

იოაკიმემ მწყემსები მოიხმო და შესაწირავი მსხვერპლის გამზადება უბრძანა. ანა მას სახლში ელოდებოდა. დანახა თუ არა მწყემსებთან ერთად მომავალი მეუღლე, წინ მიეგება და სასიხარულო ამბავი ამცნო.

მათ შეეძინათ ქალი, რომელსაც მარიამი უწოდეს. ექვსი თვის მარიამი დედამ მინაზე დასვა. ბავშვმა შვიდი ნაბიჯი გადადგა და დედის კალთამდე მიაღწია. გახარებულმა დედამ შვილი ხელში აიტაცა და აღთქმა დადო, რომ ვიდრე უფლის ტაძარში არ მიიყვანდა, მინაზე ფეხს აღარ დაადგმევინებდა.

როცა მარიამი ერთი წლისა გახდა, იოაკიმემ დიდი ღვინი გადაიხადა, შინ მოიწვია მღვდელმთავრები, მღვდლები, მნიგნობრები, პატრისაცემი მოხუცებულნი. „ისმინე, ისმინე ისრაელის თორმეტო ტომო, ძუძუს აწოვებს ანა“, - სიხარულით გალობდა წმიდა ანა.

როცა მარიამი სამი წლისა გახდა, მშობლებმა, მიცემული აღთქმისაებრ, ტაძარში მიიყვანეს. უბინო ასულებმა ანთებული სანთლებით მიაცილეს ბავშვი ტაძრამდე, მღვდელმთავარმა მარიამი საკურთხეველში შეიყვანა და ასე აკურთხა: „შთამომავალთა შორის განადიდა უფალმა სახელი შენი. უკანასკნელ ჟამს შენ მიერ გამოიხსნას უფალმა შვილნი ისრაელისა“.

ცხოვრობდა ტაძარში ქალწული და ანგელოზთა ხელით იღებდა საზრდოს, სანამ თორმეტი წლის არ გახდა და უფლის ბრძანებით საპატრონოდ მოხუც ქვრივს, იოსებს არ ჩააბარეს.

შობა ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამისა ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაულია. ეს ის დღეა, როცა უფალმა წყალობის თვალთ გადამოხედა ცოდვით დაცემულ კაცობრიობას და ქვეყანას მოუვლინა წიაღი ღვთის განხორციელებისა, საყდარი მეუფისა, კიბე ზეცისა, გამომსყიდველი ევას შეცოდებისა - ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მარიამი, დედა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტისა.

„წმიდათა ცხოვრებანი“, ტომი II, თბილისი, 2008 წ.



## საეკლესიო კალენდარი

- 1 ოქტომბერი (ჯვართამაღლების შემდგომი) კვირა - წმ. მთავარმონაზმის ბიძინა ჩოლოყაშვილის და წმ. მონამეთა შალვასი და ელიზბარის, ქსნის ერისთავთა ხსენება (1661წ.);
- 3 ოქტომბერი (სამშ.) - ერთანმინდობა. წმ. დიდმონაშე ევსტათი პლაკიდას ხსენება (დაახ. 118წ.);
- 4 ოქტომბერი (ოთხშ.) - ჯვართამაღლების დღესასწაულის წარგ ზავნა.
- 5 ოქტომბერი (ხუთშ.) - წინასწარმეტყველ იონას ხსენება (VIII ს. ქრისტეს წინ);
- 6 ოქტომბერი (პარ.) - მუცლადღება პატიოსნისა და დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი;
- 7 ოქტომბერი (შაბ.) - პირველმონ. თეკლა მოც. სწორისა ხსენება (I ს.);
- 9 ოქტომბერი (ორშ.) - მიცვალება წმიდისა მოციქულისა მახარებელისა იოანე ღმრთისმეტყველისა (III ს. დასაწ.);
- დღესასწაული ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა;
- 12 ოქტომბერი (ხუთშ.) - ღირ. ონოფრე გარეჯელის, საკვირველთმოქმედის ხსენება (XVIII ს.);
- 13 ოქტომბერი (პარ.) - მღვდელმონაშე გრიგოლ ეპისკოპოსისა, სომხეთის განმანათლებელისა (დაახ. 335);
- მონ. რიფსიმესი, გაიანესი და მათთანა 35 წმ. ქალწულთა (IV ს. დას);
  - წმ. მიხეილისა, კიევის პირველი მიტროპოლიტისა (992).
- 14 ოქტომბერი (შაბ.) - მცხეთობა – სვეტიცხოვლობა:
- დღესასწაული საუფლო კვართისა და ღმრთივბრწყინვალე და მირონმდინარე სვეტისა;
  - საფარველი ყოვლადწმიდისა დედოფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა;
  - მოც. სწორთა – მეფისა მირიანისა და დედოფლისა ნანას ხსენება;
- 15 ოქტომბერი, სულთმოფენობიდან მე-19 კვირა - დიდმონაშე არგვეთის მთავართა დავით და კონსტანტინე მხეიძეთა ხსენება (740);
- 16 ოქტომბერი (ორშ.) - მღვდელმონ. დიონისე არეოპაგელის ხსენება;
- 17 ოქტომბერი (სამშ.) - მონ. ევდემოზ კათოლიკოსის ხსენება (1642წ.);
- 18 ოქტომბერი (ოთხშ.) - უბისობა.
- ღირ. მამის გრიგოლ ხანძთელის ხსენება (861წ.);
- 19 ოქტომბერი (ხუთშ.) - წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქული თომას ხსენება (II ს.);
- 22 ოქტომბერი, სულთმოფენობიდან მე-20 კვირა
- VII მსოფლიო კრების წმიდა მამათა ხსენება (787წ.);
  - მოც. იაკობ ალფესის ხსენება (II ს.);
- 25 ოქტომბერი (ოთხშ.) - დღესასწაული იერუსალიმის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა;
- 26 ოქტომბერი (ხუთშ.) - დღესასწაული ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა;
- ღირ. ანტონისა, ჭყონდიდელი მიტროპოლიტისა (1815).
- 29 ოქტომბერი, სულთმოფენობიდან მე-20 კვირა - ღირ. ზენონ იყალთოელის ხსენება (VI ს.);
- 30 ოქტომბერი (ორშ.) - წმიდისა მამისა ჩვენისა იოსებ კათალიკოსისა, საკვირველთმოქმედისა (1770 წ.);
- მონ. კოზმანისა, რომელი ქართლს ეწამა.
- 31 ოქტომბერი (სამშ.) - წმიდისა დიდებულისა, ყოვლად ქებულისა მოციქულისა და მახარებელისა ლუკასი (II ს.).
- 
- 1 ნოემბერი (ოთხშ.) - წინასწარმეტყველ იოელის (800წ. ქრ. წინ) ხსენება;
- 2 ნოემბერი (ხუთშ.) - ღირ. გაბრიელ სალოსის და აღმსარებლის (ურგებაძე) ხსენება;
- 3 ნოემბერი (პარ.) - ღირ. ილარიონ დიდის ხსენება (371-372 წ.);
- 4 ნოემბერი, დიმიტრის შაბათი (მიცვალებულთა ხსენება):
- დღესასწაული ყაზანის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა;
- 5 ნოემბერი, სულთმოფენობიდან 22-ე კვირა - მოც. იაკობის, უფლის ხორციელად ძმის ხსენება (დაახ. 63 წ.);

- 6 ნოემბერი (ორშ.) - ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის „ყოველთა მწუხარეთა სიხარულის“ ხსენება (1688 წ.);
- 7 ნოემბერი (სამშ.) - მონ. მარკიანეს და მარტვირის ხსენება (დაახ. 355წ.);
- 8 ნოემბერი (ოთხშ.) - წმ. ალექსანდრეს, გურიისა და სამეგრელოს ეპისკოპოსის (1907წ.) ხსენება - დიდმონაშემ დიმიტრი თესალონიკელის ხსენება (დაახ. 306წ.);
- 10 ნოემბერი (პარ.) - მღვდელმონაშემ ნეოფიტესი, ურბნელი ეპისკოპოსის ხსენება (VII ს.);
- 11 ნოემბერი (შაბ.) - ღირ. მამისა ჩვენისა სერაპიონ ზარზმელის ხსენება (900 წ.);
- 12 ოქტომბერი (შაბ.) - მონ. იოთამ ზედგენიძის, მეფისათვის თავდადებული ხსენება (1465 წ.);
- 13 ნოემბერი (ორშ.) - წმიდათა ათთა ბევრთა (100 000) მონაშემთა ხსენება (1227 წ.);
- 14 ნოემბერი (სამშ.) - უეცცხლოთა და საკვირველთმოქმედთა კოზმა და დამიანე ასიელთა ხსენება (III ს.);
- 16 ნოემბერი (ხუთშ.) - ხსენება ღირ. ნიკოლოზ ქართველთა მნათობისა, აკოლუთიათა აღმწერელისა (1308წ.);
- 20 ნოემბერი (ორშ.) - 33 მელიტიანელ მონაშემთა ხსენება (III ს.);
- 21 ნოემბერი (სამშ.) - მთავარანგელოზების ეკლესიების დღესასწაული. - კრება წმიდისა მთავარანგელოზისა მიქაელისა და სხვათა უხორცოთა ზეცისა ძალთა;
- 23 ნოემბერი (ხუთშ.) - ხსენება წმიდისა დიდისა მონამისა და ძღვევაშემოსილისა გიორგისა (303 წ.);
- 26 ნოემბერი, სულთმოფენობიდან 25-ე კვირა - ხსენება წმ. იოანე ოქროპირისა, კონსტანტინეპოლელი მთავარეპისკოპოსისა (407წ.);
- 27 ნოემბერი (ორშ.) - წმ. მოციქულ ფილიპეს ხსენება (I); - შობის მარხვის აღება!
- 28 ნოემბერი (სამშ.) - მონ. გურიისა და სამონის (299-306წ.) და აბიბოს აღმსარებლის (322წ.) ხსენება; - შობის მარხვის დასაწყისი!
- 29 ნოემბერი (ოთხშ.) - წმ. დიდებულის, ყოვლადქებული მოციქულის და მახარებლის მათეს ხსენება (60 წ.);
- 30 ნოემბერი (ხუთშ.) - დიდმონაშემ მიქაელის, რომელსა ეწოდა გობრონ და მისთა 133-თა მხედართა ხსენება (914 წ.);

## ჩვენი მოქალაქე

# წოდის აღსრულება დიდი და მცირე აიაზმა?

### I. დიდი აიაზმა აღსრულება:

- ნათლისღების დღესასწაულზე ლიტურგიის ბოლოს, ამბიონის ლოცვის შემდეგ (სამაგიდო 1994: 396).
- ნათლისღების წინა დღეს. ამასთან, თუ ეს დღე მოიწევა:
  - ა) ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს, დიდი აიაზმა დაიწყება ლიტურგიის ბოლოს, ამბიონის ლოცვის შემდეგ;
  - ბ) შაბათს ან კვირას, მწუხრის ჟამის ბოლოს, შემდგომად თხოვნითი კვერქისა („აღუსრულოთ სამწუხრო ვედრება ჩუენი უფალსა“) (სამაგიდო 1994: 396).

### II. მცირე აიაზმა აღსრულება:

- (ძვ. სტ.) 1 აგვისტოს ანუ მარიამობის მარხვის დასაწყისში, როცა ვიხსენებთ ცხოველსმყოფელი ჯვარის პატიოსან ძელთა შემოყვანებას;
- ერგასის განზოგებას, როცა დედა ეკლესია კვლავ გვახსენებს უფლის მაცხოვრებელ სიტყვებს: „ხოლო რომელმან სუას წყლისა მისგან, რომელი მე მივსცე მას,

არღარა სწყუროდის უკუნისამდე...“ (ინ. 4, 14). აღნიშნული ნათლად ჩანს განზოგების ტროპარსა(ჟამნი 1899: 444) და ტრიოდონ ზატიკში მოცემულ „განზოგების მსახურებაში“(ზატიკი 1868: 123);

- ტაძრის დღესასწაულზე წირვის წინ;
- ბრწყინვალე შვიდეულის პარასკევს წირვის შემდეგ;
- და სხვა შემთხვევებშიც, როცა ამის საჭიროებაა.



თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ბიძინა ბუნია

### გამონათმსოვნები

### ჩვენი აზვნაჟეთი





## სიბის ეთკლადწმიდა ღეთისძუთბლის ტაძრად მიეკანებს სასკლთბის ტაძარი

ISSN 2298-0865



9 772298 086004 >

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),  
ლია სენიაშვილი, ნოდარ სილაგაძე  
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცილო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“

მისამართი: თბილისი, თოფურიას ქ. №12, ტელ.: 231-51-30, 599-05-96-11. ტირაჟი: 500 ცალი